

შპს „აპარტ დეველოპმენტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	289,324	283,416	142,617
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,255	2,639	-
მზა პროდუქცია	-	-	10,862
სხვა	2,003,257	255,197	-
მარაგები სულ	2,003,257	255,197	10,862
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1,022,178	177,103	1,647
სხვა არამატერიალური აქტივები	2,299	1,953	-
ძირითადი საშუალებები	7,805,372	6,054,673	617,898
სხვა გრძელვადიანი აქტივები	807,578	-	-
სულ აქტივები	11,936,263	6,774,981	773,024
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	237,326	259,340	23,000
საგადასახადო ვალდებულებები	74,471	88,665	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1,972,183	545,545	180,486
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	19,825	19,825	55,139
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3,478,150	1,824,440	419,045
სულ ვალდებულებები	5,781,955	2,737,815	677,670
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,837,494	3,652,534	5,800
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3,309,319	377,137	89,554
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	7,495	7,495	-
სულ საკუთარი კაპიტალი	6,154,308	4,037,166	95,354
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11,936,263	6,774,981	773,024
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,321,013	718,355	153,479
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-

ხელმოწერილი პირები



დირექტორი: გია ზოფერია

14 აგვისტო, 2023

თბილისი, საქართველო



თანდართული შენიშვნები 4-12 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აპარტ დეველოპმენტი“

მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	4,607,931	1,837,300
გაყიდვების თვითღირებულება	(682,534)	(483,139)
საერთო მოგება	3,925,397	1,354,161
დასაქმებულთა ანაზღაურება	(316,117)	-
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	(59,471)	-
საპროცენტო ხარჯი	(263,828)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(237,466)	(600,074)
სულ საოპერაციო ხარჯები	(876,882)	(600,074)
საოპერაციო მოგება	3,048,515	754,087


გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(116,333)	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2,932,182	754,087

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2,932,182	754,087
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4,037,166	95,354
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(815,040)	3,187,725
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6,154,308	4,037,166

ხელმოწერილი პირები



დირექტორი: გია ზოფერია

14 აგვისტო, 2023

თბილისი, საქართველო



თანდართული შენიშვნები 4-12 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აპარტ დეველოპმენტი“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(69,785)	140,799
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1,313,118)	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,388,811	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	5,908	140,799
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	283,416	142,617
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	289,324	283,416

ხელმომწერი პირები

დირექტორი: გია ხოფერია

14 აგვისტო, 2023
 თბილისი, საქართველო



ბუღალტერი: გიორგი ჯაფარიძე

14 აგვისტო, 2023
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 4-12 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აპარტ
დეველოპმენტი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

1) შპს „აპარტ დეველოპმენტი“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	2
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	3
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	4-12
1. შესავალი	4
2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდები	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა	9
4. სააღრიცხვო კრიტიკული შეფასებები და შეფასების უტყუარობის ძირითადი წყაროები	10
5. მოთხოვნები მომსახურებიდან	11
6. მოგების გადასახადი	12
7. მნიშვნელოვანი მოვლენები საანგარიშო თარიღის შემდგომ	12

შპს „აპარტ დეველოპმენტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	289,324	283,416	142,617
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,255	2,639	-
მზა პროდუქცია	-	-	10,862
სხვა	2,003,257	255,197	-
მარაგები სულ	2,003,257	255,197	10,862
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1,022,178	177,103	1,647
სხვა არამატერიალური აქტივები	2,299	1,953	-
ძირითადი საშუალებები	7,805,372	6,054,673	617,898
სხვა გრძელვადიანი აქტივები	807,578	-	-
სულ აქტივები	11,936,263	6,774,981	773,024
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	237,326	259,340	23,000
საგადასახადო ვალდებულებები	74,471	88,665	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1,972,183	545,545	180,486
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	19,825	19,825	55,139
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3,478,150	1,824,440	419,045
სულ ვალდებულებები	5,781,955	2,737,815	677,670
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,837,494	3,652,534	5,800
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3,309,319	377,137	89,554
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	7,495	7,495	-
სულ საკუთარი კაპიტალი	6,154,308	4,037,166	95,354
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11,936,263	6,774,981	773,024
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,321,013	718,355	153,479
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-

ხელმოწერი პირები

დირექტორი: გია ხოფერია

14 აგვისტო, 2023
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი: გიორგი ჯაფარიძე

14 აგვისტო, 2023
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-22 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აპარტ დეველოპმენტი“

მოგება-ზარალის და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	4,607,931	1,837,300
გაყიდვების თვითღირებულება	(682,534)	(483,139)
საერთო მოგება	3,925,397	1,354,161
დასაქმებულთა ანაზღაურება	(316,117)	-
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(59,471)	-
საპროცენტო ხარჯი	(263,828)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(237,466)	(600,074)
სულ საოპერაციო ხარჯები	(876,882)	(600,074)
საოპერაციო მოგება	3,048,515	754,087

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(116,333)	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2,932,182	754,087

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2,932,182	754,087
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4,037,166	95,354
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(815,040)	3,187,725
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6,154,308	4,037,166

ხელმოწერი პირები

დირექტორი: გია ხოფერია

ბუღალტერი: გიორგი ჯაფარიძე

14 აგვისტო, 2023
თბილისი, საქართველო

14 აგვისტო, 2023
თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-22 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აპარტ დეველოპმენტი“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(69,785)	140,799
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1,313,118)	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,388,811	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	5,908	140,799
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	283,416	142,617
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	289,324	283,416

ხელმოწერი პირები

დირექტორი: გაია ხოფერია

14 აგვისტო, 2023
 თბილისი, საქართველო

ბუღალტერი: გიორგი ჯაფარიძე

14 აგვისტო, 2023
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 9-22 გვერდებზე წამოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. შესავალი

ორგანიზაცია და მისი ოპერაციები

შპს „აპარტ დეველოპმენტი“ (ს/ნ 405329764) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს თბილისში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. ორგანიზაცია დაარსდა 2019 წლის 14 აპრილი.

ორგანიზაციის 100%-იანი მფლობელია ბექა ხოფერია (01007011176).

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა.

კომპანიის ფაქტობრივი და რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ბუხაიძის ქ., შესახვევი I, N 6, სართული 1, ბინა N 1

2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მეთოდები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) კლასიფიკაციის, აღიარების და გაზომვის პრინციპების მიხედვით. ანგარიშგების მომზადების მიზანია შესაბამისობა რეგულატორულ მოთხოვნებთან. პირველი ფინანსური ანგარიშგება რომელიც შესაბამისობაში იქნება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (მსს ფასს სტანდარტები) კომპანია გამოაქვეყნებს 31 დეკემბერს 2021 წლით დამთავრებული პერიოდისთვის. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) გადასვლი თარიღი იქნება 1 იანვარი 2023 წელი.

გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ორგანიზაციის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს ვალუტა მეტად გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

2021 წლის 31 დეკემბერს, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის განსაზღვრით, შეადგენდა შემდეგს: 1 აშშ დოლარი ("USD") = 3.0976 ლარი, 1 ევრო ("EUR") = 4.5040 ლარი და 100 რუსული რუბლი ("RUB") = 4.1479 ლარი (31 დეკემბერი 2020 წ.: 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი, 1 ევრო = 4.0233 ლარი და 1 რუსული რუბლი ("RUB") = 4.4031 ლარი). დღესდღეობით საქართველოს ვალუტა "ლარი" არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

**ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

უწყვეტობის პრინციპი

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ხელმძღვანელობამ გაანალიზა ახლანდელი მაკროეკონომიკური გარემო საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

ფინანსური ინსტრუმენტები-შეფასების ძირითადი ფაქტორები

კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

სამართლიანი ღირებულება

ორგანიზაცია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1-დან 3 დონემდე. ეს დონეები წარმოადგენს შემდეგს:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულებისა
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდება

ფინანსური ინსტრუმენტები დისკონტირებული ღირებულებით

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. ხელმძღვანელობის შეფასების შედეგად, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვარდება ზემოთ ხსენებული დონეების მესამე დონის განსაზღვრებაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მის დისკონტირებულ ღირებულებას.

საოპერაციო ხარჯები წარმოადგენს დამატებით ხარჯებს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული შესყიდვებთან, გამოშვებასთან ან ფინანსური ინსტრუმენტების გაყიდვასთან. დამატებითი ხარჯი არ წარმოიქმნება იმ შემთხვევაში თუ გარიგება არ მომხდარა. დამატებითი ხარჯი მოიცავს საფასურსა და საკომისიოს რომელიც არის გადახდილი აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვების აგენტებს) მრჩეველებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის, შეიცავს მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების, და გადაცემის გადასახადებს. საოპერაციო ხარჯები არ მოიცავს ფასდათმობას, დაფინანსების ხარჯებს, შიდა ადმინისტრაციულ ან სხვა ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივები ნებისმიერი ჩამოწერის და გაუფასურების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს ამორტიზაციას გადავადებულ ოპერაციის ღირებულების თავდაპირველი აღიარებისას და ნებისმიერი პრემიის ან დისკონტის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის გადავადებული გადასახადი წარმოშობის, ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი ცალკე და შედის საბალანსო ღირებულებაში.

**ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივებს აქვს შემდეგი კატეგორიები: (ა) სესხები და დებიტორული მოთხოვნები; (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, (გ) ფინანსური აქტივები რომლების ინახება ვადის გასვლამდე და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით დაფიქსირებული მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება.

ფინანსური ვალდებულებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სავაჭრო ვალდებულებები, რომელიც ასევე მოიცავს ფინანსურ დერივატივებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება თავისი სამართლიანი ღირებულებით, ღირებულების ცვლილება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (როგორც ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი) იმ პერიოდში, რომელშიც ის წარმოიქმნება. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით რომელშიც გათვალისწინებულია ოპერაციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შეძენას ან ფინანსური აქტივის ფინანსური ვალდებულება გამოშვებას. რეალური ღირებულების თავდაპირველი აღიარებისთვის საუკეტესო საშუალებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აისახება მხოლოდ მაშინ როდესაც გარიგების ფასსა და სამართლიან ღირებულებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმებას როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია აქტივებიდან მისარები ფულადი ნაკადების მოტხოვნა აღარ არსებობს (ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე მოთხოვნა მაშინ, როდესაც (i) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკებს და სხვა სარგებელს რომელიც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივთან ან (ii) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ყველა რისკს და სარგებელს დაკავშირებულს გადაცემულ აქტივთან და არც ინარჩუნებს მასზე კონტროლს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

კომპანიის ფუნქციური ვალუტა არის იმ ეკონომიკური გარემოს პირველადი ვალუტა, რომელშიც კომპანია ოპერირებს. კომპანიის ფუნქციური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ქართული ლარი (ლარი).

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო ნაშთები საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის გადაიყვანება კომპანიის საოპერაციო ვალუტაში, ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები.

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო და სალაროს ანგარიშებზე გათავსებული ნაშთებისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში გადაფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებითაც.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წრმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასიცოცხლო პერიოდი

შენობა ნაგებობები	30 -50 წელი
მანქანა-დანადგარები, კომპიუტერები, ავაჯი და სხვა	4– 8 წელი
მსუბუქი ავტომობილები	8 – 12 წელი

შემოსავლების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის მიღების და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება

თანხის მიღება. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე. კომპანიამ დაადგინა, რომ ის არის პრინციპალი ყველა შემოსავლის ხელშეკრულებაში, რადგან ის

არის მთავარი მოვალე, აქვს ფასის ცვლილების შესაძლებლობა და ასევე ექვემდებარება მარაგების და საკრედიტო რისკს.

ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და გადაფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშგების პერიოდის დასრულებისას მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები) არ არიან ვალდებული გადაიხადონ მოგების გადასახადი მიღებულ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის ფორმით.

15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებელში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებული მოგებიდან არ იბეგრება.

დივიდენდები მოგებაზე, რომელიც დაგროვებულია 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, იბეგრება მოგების გადასახადით გაანგარიშებული მთლიან მაჩვენებლებზე, გამოკლებული საგადასახადო შეღავათი, რომელიც გამოთვლილია, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა – მთლიან წმინდა მოგებასთან მიმართებით იმავე პერიოდში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა საგადასახადო შეთავაზის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილი იქნა დივიდენდები. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდის შემდეგ, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა თანხებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. იმ საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ საწარმოებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო შეღავათის გამოქვითვის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება ფინანსური აქტივები, გარდა იმ აქტივებისა, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხდება გაუფასურების საჭიროების შეფასება, სანგარიშგებო პერიოდისთვის. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური აზრი ერთი ან რამოდენიმე შემთხვევის აღმოჩენისას, რომელსაც აქვს გავლენა ინვესტიციის მომავალ ფულად ნაკადებზე. ფინანსური აქტივებისთვის წარმოდგენილი ამორტიზირებული ღირებულებით, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას მომხდარ შემთხვევასთან, წარმოშობილი გაუფასურების აღიარების შემდეგ წინამდებარე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგება ზარალის გამოყენებით იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების შებრუნების თარიღისათვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

უიმედო აქტივების ჩამოწერისას საამორტიზაციო და ზარალის რეზერვის შემდეგ ყველა აუცილებელი პროცედურა, აქტივის აღსადგენად უკვე დასრულებულია და ზარალის ოდენობა განსაზღვრული. შემდგომი ამოღება ჩამოწერილი თანხების დაკრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე და ამ ფარგლებში განისაზღვრება მოგება ან ზარალი.

გადახდილი აგანსები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორც ძირითადი

საშუალება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე,

რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები

ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც

დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან.

თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საქონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

დაკავშირებული მხარეები

ორგანიზაციის დაკავშირებული მხარეებია ორგანიზაციის დამფუძნებელი და ძირითადი მენეჯმენტი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

კომპანია მუდმივად აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ცნობით აქტივებზე და ვალდებულებებზე სამომავლოდ. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ მოვლენებს, რომლებიც სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

თავდაპირველი აღიარება დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრელად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. სააღრიცხვო კრიტიკული შეფასებები და შეფასების უტყუარობის ძირითადი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის პრაქტიკული გამოყენებისას, მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს შეფასებები და ვარაუდები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების შესახებ, რომლებიც აშკარად არ ჩანს სახვა წყაროებიდან. ვარაუდები და დაკავშირებული შეფასებები ემყარება წინა გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც შესაფერისად არის მიჩნეული. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და ძირითადი ვარაუდები განიხილება მიმდინარე საფუძველზე. ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც შეფასება შეიცვალა, იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე, ან ცვლილებისა და მომავლის იმ პერიოდებში, როცა ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე ისე სამომავლო პერიოდებზე.

კრიტიკული შეფასებები გამოსაყენებელ სააღრიცხვო პოლიტიკაში

შემდგომში მოცემული არის კრიტიკული შეფასებები, გარდა იმ ნაგულისხმევი შეფასებებისა (იხილეთ ქვემოთ), რომლებიც სამართალსუბიექტის მენეჯმენტმა გააკეთა სამართალსუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღების პროცესში და რომლებიც ახდენენ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ აღრიცხვებში აღიარებულ თანხებზე.

შემოსავლის აღიარება

მენეჯმენტმა თავიანთი შეფასებების გაკეთებისას, გაითვალისწინა დეტალური კრიტერიუმები მსს ფას-ში მითითებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისა და კერძოდ დააკმაყოფილა თუ არა ორგანიზაციამ თავისი შესრულების ვალდებულება. სამართალსუბიექტის ფინანსური ვალდებულებების დეტალური რაოდენობის განსაზღვრის შემდეგ, მისი შესრულების ვალდებულების განხორციელების შესაბამისად, და შეთანხმებული შეზღუდვა მომხმარებლის შესაძლებლობებზე, რომ მოითხოვოს შემდგომი მუშაობა, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადაცემულია და შემოსავლის აღიარება მიმდინარე წელს არის შესაბამისი, სათანადო შესრულების ვალდებულების განხორციელებისთვის შესაფერისი მარაგის აღიარებასთან ერთად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო, ვალუტისა და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს. 2016 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის მოდელში, 2017 წლის 1 იანვარს ძალაში შესული ცვლილებებით ყველა სამართალსუბიექტისთვის, გარდა გარკვეული ფინანსური დაწესებულებებისა. შეცვლილი მოდელი იყენებს ნულოვან კორპორაციულ საგადასახადო განაკვეთს შენარჩუნებულ მოგებაზე და 15% კორპორაციული საგადასახადო განაკვეთი განაწილებულ მოგებაზე, შედარებით 15%-იანი კორპორაციული საგადასახადო განაკვეთის წინა მოდელთან, რომელიც დაკისრებული იყო კომპანიის მოგებაზე გადასახადით დაბეგვრამდე, მიუხედავად შეკავების ან განაწილების სტატუსისა. ცვლილებამ დაუყოვნებლივ მოახდინა გავლენა გადავადებულ საგადასახადო აქტივისა და გადავადებულ საგადასახადო ვალდებულების ბალანსებზე, რომლებიც მიეკუთვნება ადრე აღიარებულ დროებით სხვაობებს, წარმოქმნილს წინა პერიოდებიდან.

დაკავშირებული მხარის ფინანსური გარიგებების პირველადი აღიარება

ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობის დროს, კომპანია დებს ფინანსურ გარიგებებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები 39 საჭიროებს ფინანსური საშუალებების პირველად აღიარებას, მათი რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. შეფასება გამოიყენება იმის განსაზღვრაში, ფასდება თუ არა გარიგება საბაზრო ან არაკონკურენტულ ფასებში, მაშინ როცა არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი ფინანსური გარიგებებისთვის. შეფასების საფუძველი არის ფასწარმოქმნა მსგავსი ტიპის ფინანსური გარიგებებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება მხარეებს.

ძირითადი საშუალების სარგებლოიანობის ხანგრძლივობა

კომპანიამ გამოიყენა შეფასება პირადი დამცავი მოწყობილობის სარგებლიანობის ხანგრძლივობის განსაზღვრისას, იმგვარი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური და კომერციული დამძვლევა, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება ფიზიკური აქტივობისა და მოსალოდნელი ცვეთის სავარაუდო შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. ასევე, მენეჯმენტმა საუკეთესო შეფასება შეადგინა აქტივში შემავალი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მომხმარების ნიმუშის განსაზღვრაში, ისინი არსებითად შესაძლოა განსხვავდებოდნენ ფაქტიური შედეგებისგან, რაც შესაძლოა მატერიალურ გავლენას ახდენდეს ფინანსურ ანგარიშში წარმოდგენილ ციფრებზე.

5. მოთხოვნები მომსახურებიდან

სავაჭრო და სხვა დავალიანება ძირითადად მოიცავს კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებისათვის, კომპანიის პროვაიდერების მხრიდან დავალიანებას.

პირობები აღიარებულია, როდესაც საწარმოს გააჩნია მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული), როგორც შედეგი წარსული მოვლენისა, შესაძლებელია, რომ საწარმოს მოთხოვნებოდეს ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების დასაფარად საჭირო საუკეთესო ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

პირობად აღიარებული თანხა წარმოადგენს საუკეთესო ხარჯთაღრიცხვას, რომელიც აუცილებელია საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული ვალდებულების დასაფარად, ვალდებულების ირგვლივ არსებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით.

როდესაც ეკონომიკური ბენეფიტის რაიმე ნაწილი მოითხოვს ისეთი პირობის დადგენას, რომელიც გულისხმობს მესამე მხარისაგან დაფარვას, დებიტორული დავალიანება მოისაზრება როგორც აქტივი, თუკი ის ფაქტობრივად დაადასტურებს, რომ ანაზღაურება იქნება მიღებული და მისაღები თანხის ოდენობა საიმედოდ იქნება შეფასებული.

6. მოგების გადასახადი:

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა იურიდიული პირების საგადასახადო მოდელში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს ყველა იურიდიული პირისთვის გარდა კოდექსში მითითებული პირებისა. შეცვლილი მოგების კანონი არ ბეგრავს გაუნაწილებელ მოგებას და მოგების გადასახადი ერიცხება განაწილებული დივიდენდის 15%. ეს განსხვავდება წინა მიდგომისგან, როდესაც ორგანიზაცია იხდიდა 15% -ს მოგება/ზარალის მოგების გადასახადით დაბეგრამდე მიუხედავად იმისა განაწილებული იყო თუ არა დივიდენდი. ამ ცვლილებას ქონდა პირდაპირი გავლენა გადავადებულ გადასახადზე.

ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიაში ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და სამართლებრივი რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკი, საპროცენტო რისკის რისკი და სხვა რისკი), საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ფინანსური რისკების მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია ფინანსური რისკების ზღვრების დადგენა და იმის უზრუნველყოფა რომ ის არ გასცდება ამ ზღვრებს. ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებას ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მინიმიზაციის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ორგანიზაცია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს შეასრულოს თავისი ვალდებულებები.

ორგანიზაციის პოლიტიკა გულისხმობს აწარმოოს ლიკვიდურობის გონივრული მართვის პოლიტიკა შესაბამისი პროცედურების ჩატარების საშუალებით: რომელიც მოიცავს შესაბამისი რაოდენობის ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთების ქონას, ასევე მაღალ ლიკვიდური აქტივების მიღებას რომელსაც მოყვება ყველა საოპერაციო და გადასხდელი ვალდებულებასთან დაკავშირებული სერვისები.

7. მნიშვნელოვანი მოვლენები საანგარიშო თარიღის შემდგომ

არავითარი მნიშვნელოვანი გარიგება არ ყოფილა გამოვლენილი საანგარიშო თარიღის დადგომის შემდეგ.